



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №-20

2011 წლის 17 მარტი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, 25-ე მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნას შემდეგი სახის ადგილობრივი მოსაკრებლები:

ა) ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებელი:

მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის.

ბ) მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის.

გ) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

2. მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის:

ა) ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

ბ) საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 5 (ხუთი) ლარის ოდენობით.

3. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის:

ა) ფიზიკური პირისათვის (ერთ სულ მოსახლეზე) 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

ბ) იურიდიული პირისათვის, ორგანიზაცია-დაწესებულებებისათვის 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე.

4. მოსაკრებელი სათამაშო ბიზნესისათვის:

ა) კაზინოს (სამორინეს) თითოეულ სათამაშო მაგიდაზე - 21000 (ოცდაერთათასი) ლარი კვარტალში.

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე - 2000 (ორიათასი) ლარი კვარტალში.

გ) ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეულ სალაროზე - 4000 (ოთხიათასი) ლარი კვარტალში.

დ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%-ი.

ე) სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე - 40000 (ორმოციათასი) ლარი კვარტალში.

5. დამტკიცდეს ადგილობრივი მოსაკრებლების გამონგარიშებისა და გადახდის ინსტრუქციები თანახმად №1 და №2 დანართებისა.

6. ძალადაკარგულად იქნას გამოცხადებული „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 19 მარტის №24 დადგენილება.

7. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

**მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან
ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებელის
გამოანგარიშებისა და გადახდის შესახებ
ინსტრუქცია**

ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №-57 დადგენილების შესაბამისად. იგი განსაზღვრავს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებელის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს.

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1. მშენებლობის ნებართვა არის განსაკუთრებული იერარქიის ნებართვა, რომელიც იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ სტადიად: I სტადია - ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება); II სტადია - არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება); III სტადია - მშენებლობის ნებართვის გაცემა.

2. მშენებლობის ნებართვა ადასტურებს მისი მიღების კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ნებართვაში მითითებულ ვადებში სამშენებლო სამუშაოების განხორციელების უფლებას.

მუხლი 2. მშენებლობის ნებართვის გაცემის ობიექტი

1. მშენებლობის ნებართვის გაცემის ობიექტებია:

ა) ახალი მშენებლობა.

ბ) არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია.

გ) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი.

დ) სამშენებლო დოკუმენტის ისეთი ცვლილება, რომელიც საჭიროებს ახალ ნებართვას.

2. მშენებლობის ნებართვის გაცემას არ ექვემდებარება:

ა) არსებული შენობა-ნაგებობის რემონტი-შეკეთება, მოპირკეთება, აღჭურვა.

ბ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 3 სექტემბრის №11 დადგენილებით განსაზღვრული I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობები.

მუხლი 3. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლით დაბეგვრის ობიექტი

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლით დაბეგვრის ობიექტია ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლით განსაზღვრული მშენებარე ობიექტთა განაშენიანების ფართი.

მუხლი 4. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის გადამხდელი

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის გადამხდელები არიან ამ ინსტრუქციის მეორე მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული ობიექტების მესაკუთრე ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

მუხლი 5. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის განაკვეთი

1. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის განაკვეთი მტკიცდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

2. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის განაკვეთი განისაზღვრება:

ა) ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

ბ) საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 5 (ხუთი) ლარის ოდენობით.

მუხლი 6. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის გაანგარიშების წესი

1. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი გამოიანგარიშება ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ობიექტის პროექტით განსაზღვრული განაშენიანების ფართის (კვადრატულ მეტრებში) გამრავლებით მოსაკრებელის განაკვეთზე.

2. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის გაანგარიშებას და მის გადახდაზე კონტროლს ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახური.

მუხლი 7. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის გადახდაზე შეღავათები

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის გადახდისაგან თავისუფლდება სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გამოანგარიშებისა და გადახდის შესახებ ინსტრუქცია

ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. იგი განსაზღვრავს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს.

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1. წინამდებარე ინსტრუქცია აწესრიგებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსაკრებლის განაკვეთების ოდენობას და გადახდის წესს.

2. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი (შემდგომში - მოსაკრებელი) წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გაწეული მომსახურების საფასურს.

3. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავება გულისხმობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას, გაუვნებლობასა და მათი განთავსების საბოლოო ადგილების მოვლა-პატრონობას.

4. საყოფაცხოვრებო ნარჩენები არის ნარჩენები, რომლებსაც ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში, მიწის ნაკვეთებსა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობებში ცხოვრებისას წარმოქმნის მოსახლეობა, ასევე ნარჩენები რომლებსაც წარმოქმნის იურიდიული პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება.

5. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციას არ წარმოადგენს ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებების ნარჩენებით დაბინძურების, რადიოაქტიური ნარჩენების მართვის, სამედიცინო ნარჩენების მართვის, აგროქიმიკატების ნარჩენების მართვის საკითხები.

6. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადაუხდელობა, გადახდის ვადების დარღვევა ითვლება დასუფთავების წესების დარღვევად და დამრღვევის მიმართ გატარებული იქნება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ დასუფთავების მოსაკრებლის ამოსაღებად იურიდიულ პირებთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში მოსაკრებელი გადაიხდება ამ ინსტრუქციის შესაბამისად.

მუხლი 2. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელი

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

მუხლი 3. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის განაკვეთი და მისი გამონაგარიშების წესი

1. მოსაკრებელის განაკვეთი მტკიცდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.
2. მოსაკრებელი გაიანგარიშება ფიზიკური პირებისათვის (მოსახლეობისათვის) - სულადობის მიხედვით, იურიდიული პირებისათვის, ორგანიზაცია-დაწესებულებებისათვის - ნარჩენების დაგროვების ნორმის, დაკავებული ფართობის და მომხმარებელთა რაოდენობის გათვალისწინებით.
3. მოსაკრებელის განაკვეთი განისაზღვრება:
 - ა) ფიზიკური პირისათვის (ერთ სულ მოსახლეზე) – 1 (ერთი) ლარის ოდენობით.
 - ბ) იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის - 15 ლარის ოდენობით ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე.
 - გ) მოსაკრებელის განაკვეთი თვეში **M** გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით (არ ვრცელდება ფიზიკურ პირებზე):
$$M=N \times C \times K : 12$$

N – ნარჩენების დაგროვების ნორმატივი წელიწადში.
C – მოსაკრებელი ერთი კუბური მეტრი ნარჩენის გატანაზე.
K - ზომის ერთეული (დაკავებული ფართი, მომხმარებელთა რაოდენობა).
 - დ) მოსაკრებელის განაკვეთი ინსტრუქციის მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტისა და გადამხდელთა კატეგორიების გათვალისწინებით განსაზღვრულია ინსტრუქციაზე თანდართულ ცხრილში.

მუხლი 4. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდის წესი

1. მოსაკრებელის გადახდა წარმოებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ქვითარის ან ელექტრონული ანგარიშსწორების ფორმით.
2. ქვითარის ტიპიურ ფორმას ამტკიცებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
3. ფიზიკური პირისათვის (მოსახლეობისათვის) მოსაკრებელის გადახდის ქვითარი (შემდგომში ქვითარი) გამოიწერება საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ იმ უძრავ ქონებაზე, სადაც წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენი.
4. მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობისას მოსაკრებელის გადახდის ქვითარი გამოიწერება ამხანაგობის სახელზე. ამ შემთხვევაში ამხანაგობის თავმჯდომარე წერილობით მიმართავს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურს და წარუდგენს ამხანაგობის კრების ოქმს (ამხანაგობის წევრების თანხმობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით).
5. იურიდიული პირების შემთხვევაში მოსაკრებელის გადახდის ქვითარი გამოიწერება იმ ორგანიზაცია/დაწესებულებების, იურიდიული პირებისათვის, რომლის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები.
6. მოსაკრებელი შეიძლება გადახდილი იქნას ქვითარში დაფიქსირებული გადამხდელის ან/და მისი წარმომდგენის მიერ, უკანასკნელ შემთხვევაში გადახდის დანიშნულებაში მითითებული უნდა იყოს ვის სასარგებლოდ იქნა გადახდილი მოსაკრებელი.
7. ქვითარი შენახული უნდა იქნას ერთი წლის განმავლობაში. ქვითარის დაკარგვისას მის აღდგენას დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე აწარმოებს მოსაკრებელის გადახდევინებაზე პასუხისმგებელი სამსახური.
8. მესაკუთრე ფიზიკური პირი (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა), რომლის საკუთრებაშიც წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენი, წარმომქმნელთა რაოდენობის ცვლილების შესახებ 30 დღის განმავლობაში ვალდებულია აცნობოს მოსაკრებელის გადახდევინებაზე პასუხისმგებელ სამსახურს.
9. საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელთა რაოდენობის შეცვლის შემთხვევაში მიმდინარე თვის მოსაკრებელი იფარება ცვლილების გაუთვალისწინებლად.

10. მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში ყოფილმა მესაკუთრემ მოსაკრებელის მიმდინარე დავალიანება უნდა დაფაროს იმ თვის ბოლომდე, რა პერიოდშიც განხორციელდა საკუთრების განკარგვა.

11. იმ შემთხვევაში თუ კი მოსაკრებელის გადახდილი თანხა ნაკლები აღმოჩნდება მოსაკრებელის ახალი განაკვეთის დამტკიცების შემდგომ, სხვაობა უნდა დაიფაროს გადასახადის გადამხდელის მიერ ახალი განაკვეთის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან ერთი თვის ვადაში. თუ კი მოსაკრებელის გადახდილი თანხა მეტი აღმოჩნდება მოსაკრებელის ახალი განაკვეთის დამტკიცების შემდგომ, ანამეტი უნდა გამოაკლდეს ახალი განაკვეთის თანხას.

12. მოსაკრებელი გადაიხდევინება ყოველთვიურად, ყოველი თვის არაუგვიანეს 25 რიცხვისა.

13. გადამხდელს შეუძლია მოსაკრებელი გადაიხადოს წინასწარ.

14. მოსაკრებელის გაანგარიშებას და მის გადახდაზე კონტროლს ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახური.

მუხლი 5. მოსაკრებელის გადახდაზე შეღავათები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, საჯარო სკოლები, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სარგებლობენ ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდის 50%-იანი შეღავათით.

2. ინვალიდი პენსიონერი I და II ჯგუფის თავისუფლდება სრულად ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდისაგან.

3. ინვალიდი ბავშვი თავისუფლდება სრულად ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდისაგან.

4. ომის ვეტერანი თავისუფლდება სრულად ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდისაგან.

5. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული ოჯახები:

ა) 0-დან 57000 ჟულამდე თავისუფლდება სრულად ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდისაგან.

ბ) 57000-დან 70000 ჟულამდე სარგებლობენ ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდის 75%-იანი შეღავათით.

გ) 70000-დან 100000 ჟულამდე სარგებლობენ ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდის 50%-იანი შეღავათით.

6. გადამხდელები, რომლებზეც ვრცელდება ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ვალდებულია ყოველ 6 თვეში ერთხელ წარმოუდგინოს სოციალური მომსახურების სააგენტოდან ცნობა სარეიტინგო ქულების მინიჭების შესახებ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურს.

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის
გამოანგარიშებისა და გადახდის შესახებ
ინსტრუქციის**

ც ხ რ ი ლ ი

**დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის განაკვეთები დიფერენცირებული
მოსაკრებელის ობიექტების მიხედვით**

№	ობიექტი (გადასახადის გადამხდელი)	ზომის ერთეული (K)	ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა 1 კუბ.მეტრზე (N)	1 კუბ.მეტრი ნარჩენების გატანის მოსაკრებელი (ლარი) (M)
1	მუზეუმი, ბიბლიოთეკა, არქივი	საერთო ფართის 1მ ²	0,28	0,35
2	ოფისი, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, სახელმწიფო ორგანიზაციები	საერთო ფართის 1მ ²	0,080	0,10
3	ბანკი, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები	საერთო ფართის 1მ ²	0,24	0,30
4	კინოთეატრი, თეატრი, კულტურის სახლი	მაყურებლის ერთი სავარძელი	0,160	0,20
5	სკოლა, ინსტიტუტი, კოლეჯი, სკოლამდელი აღზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულება	ერთი სული	0,160	0,20
6	სასტუმრო	ერთი საწოლი	1,2	1,50
7	საავადმყოფო	ერთი საწოლი	0,56	0,70
8	პოლიკლინიკა	საერთო ფართის 1მ ²	0,080	0,10
9	სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრი, სამედიცინო, სტომატოლოგიური კაბინეტი	საერთო ფართის 1მ ²	0,32	0,40
10	აფთიაქი	საერთო ფართის 1მ ²	0,48	0,60
11	სასურსათო საქონლის მაღაზია (სავაჭრო დარბაზი)	საერთო ფართის 1მ ²	0,64	0,80
12	სამრეწველო საქონლის მაღაზია (სავაჭრო დარბაზი)	საერთო ფართის 1მ ²	0,56	0,70
13	შერეული საქონლის მაღაზია	საერთო ფართის 1მ ²	0,64	0,80
14	აგრარული ბაზარი, შერეული საქონლის ბაზრობა	ერთი სავაჭრო ადგილი	0,72	0,90
15	სტადიონი, სპორტულ- გამაჯანსაღებელი დაწესებულების ღია ტერიტორია და მანქა (სატურნირო და სავარჯიშო მოედნების გარდა)	ღია ფართის 1მ ² დახურული ფართის 1მ ²	0,020 0,12	0,025 0,15
16	საწყობი პირდაპირი მიყიდვის გარეშე (გარდა სავაჭრისა პროდუქციის ხანგრძლივობის შენახვის დროით)	ღია ფართის 1მ ² დახურული ფართის 1მ ²	0,020 0,12	0,025 0,15

17	ავტოსადგომი	ღია ფართის 1მ ² დახურული ფართის 1მ ²	0,020 0,160	0,025 0,20
18	ავტოგასამართი სადგური და ავტოსამრეცხაო	ღია ფართის 1მ ² დახურული ფართის 1მ ²	0,020 0,20	0,025 0,25
19	ავტომობილების სარემონტო სადგური, ტექნიკური მომსახურების ადგილი	ღია ფართის 1მ ² დახურული ფართის 1მ ²	0,024 0,160	0,03 0,20
20	აბანო, საუნა	საერთო ფართის 1მ ²	0,12	0,15
21	სადალაქო, სილამაზის სალონი	საერთო ფართის 1მ ²	0,400	0,50
22	მცირე სამეწარმეო საქმიანობა შენობის შიგნით, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი	საერთო ფართის 1მ ²	0,20	0,25
23	რესტორანი, სასადილო, კაფე, ბარი	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0,80	1,0
24	საბანკეტო დარბაზი სარიტუალო მომსახურებისათვის	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0,400	0,50
25	საცხობი	საერთო ფართის 1მ ²	0,24	0,30
26	ტოტალიზატორი და სხვა სათამაშო ცენტრი	საერთო ფართის 1მ ²	0,480	0,60
27	გასართობი ცენტრი	საერთო ფართის 1მ ²	0,24	0,30
28	რკინიგზისა და საავტომობილო სადგური	ღია ფართის 1მ ² დახურული ფართის 1მ ²	0,020 0,12	0,025 0,15
29	ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილი, სკვერი, ბაღი, ატრაქციონი	საერთო ფართის 1მ ²	0,008	0,01
30	სამხედრო ნაწილი	ერთი სული	0,56	0,70
31	საწარმო ობიექტის ღია ტერიტორია, სადაც მიმდინარეობს საწარმოო პროცესი	საერთო ფართის 1მ ²	0,020	0,025
32	შერეული პროდუქციის საწარმოების შენობა-ნაგებობა (საწარმოო ნარჩენების გარდა)	საერთო ფართის 1მ ²	0,04	0,05
33	სავაჭრო ცენტრი (ყოფილი უნივერსამის, უნივერმალის ტიპის სავაჭრო ობიექტი)	საერთო ფართის 1მ ²	0,12	0,15

